# ჩანგი

№ 12

პარასკევი, 17 ივლისი 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს.- საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** —ინახებს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გონორარის შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაკვლევათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:**

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ. |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

## პროვინციის ჟურნალ-გაზეთების გამყიდველთა საყურადღებოთ.

მიუხედავათ მრავალჯერ გაფრთხილებისა ზოგიერთი აგენტები თავის დროზედ გაყიდულ ჟურნალ-გაზეთების ფულს არ გზავნიან და ამ რიგათ რედაქციები დანიშნულ დროზე ფულს ვერ ღებულობენ. უკანასკნელათ ვაცხადებთ აგენტების საყურადღებოთ, რომ ვინც თავის დროზე, ესე იგი, წინდაწინ ფულს არ გამოგზავნის მას აუცილებლათ გაზეთის გზავნა მოესპობა და აგენტურა სხვა პირს გადაეცემა.

**„დროების“, „ჩანგის“ და „ზაკავკაზიეს“ რედაქციები.**

**აგენტურის გამგე მ. გაჩეჩილაძე.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Т-во „Сорапань“ М. Гачечиладзе

## აბასთუმანში

კბილის ექიმი

**სამსონ ვაშაყმაძე**

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

**გაიხსნა ახალი**

თფილისის

## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. გ. ლამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ზ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყმელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ზ. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—13

**კბილის ექიმი**

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

## ჭიათურის

საქალებო პროგიმნაზიაში

რომელშიაც სექტემბრიდან მესამე კლასიც იხსნება, მიიღება მოსწავლეები 25 აგვისტოდან ყველა კლასებში. 10—9.

## დ. სამტრედიაში

საექიმო კაბინეტი ქირურგიულ ავათმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ეგნ. **ჯაში.** ავათმყოფების მიღება **ყოველ დღე.**

## ქ. ფოთში

**ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით**

●✦● იხსნება ●✦●

ქალების კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვადასხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების სასიამოვნო და ყველასათვის ხელმისაწდომია. (10—3)


**თფილისი, 17 ივლისი**

მართალია, სამხედრო წესები მოხსნეს ჩვენი მხრის უმეტეს ადგილებში—მართალია, ამით თითქმის „დამშვიდება და დაშოშმინება“ აღიარეს, მარა მართვა-გამგეობის სისტემა ამით ოდნავათაც არ შეცვლილა. გაძლიერებული წესების სახით აღდგენილ იქნა ყველა ის წესები, რომელნიც სამხედრო წესების დროს არსებობდენ და სულ მცირე ცვლილებებით, როგორიცაა მაგ., ჯარიმის რაოდენობის შემცირება. დანარჩენში კი, ისევ ყველაფერი წინანდელი დარჩა და ხალხის გაჭირვებას, განსაკუთრებით სოფლებში საშველი არ უჩანს. გლეხები, როგორც ჩვენი კორესპონდენტი იუწყება, „დამშვიდების“ აღიარების და სამხედრო წესების მოხსნის შემდეგ მოელოდენ, რომ გაუქმებულ იქნებოდა ის დაწესებულებები, რომელნიც ზედმეტ ბარგათ აწვანან სოფელს და აუარებელ ახალ ხარჯებს ითხოვენ მათგან. ასეთია სოფლათ მთავრობის მამასახლისების და მათი მცველი „სტრაჟნიკების“ ინსტიტუტი. ამათზე აუარებელი ხარჯი გაუდის სოფელს. ამას წინეთ კახეთიდან ჩვენს კორესპონდენტს დაწვრილებით ქონდა აღნიშნული, თუ რამდენი ათასი მანეთი მოუწევს გლეხობას მათ შესანახათ ყოველ წლობით და ეს ხდება მაშინ, როცა შიმშილი კარზე გვადგია, როცა წარმოება შეჩერებულია, როცა გლეხს სამკეცი ტყავი აქვს ზურგზე ამძვრალი. ახლაც, ამ მხრით რა საშველი მიეცა სოფელს? არაფერი. ეგზეკუციები ძველებურათ ტრიალებენ სოფლებში, ყოველ ბრალიანსა და უბრალოზე, სტრაჟ-მამასახლისები ახლაც თავისუფლათ დანავარდობენ. ადამიანის პიროვნება ახლაც ისე დამონებული და აბუჩათ აგდებულია, როგორც წინეთ. მოხელეთა თვითნებობას საზღვარი არა აქვს. სულ უბრალო რამეც კი,—იმ ადმინისტრატიულათ გადასახლებულთა დაბრუნება, რომელთაც გადასახლების ვადათ სამხედრო წესების მოხსნა ქონდათ დადებული, სისრულეში მოყვანილი არაა, მათი ბედი ისევ ადგილობრივ ადმინისტრაციის ნება-სურვილზეა მიგდებული და ასე, წინანდელი დადგენილება ახალით უარყოფილია, რეპრესიები ისევ ძალაში რჩება. მაშ, სადღაა დამშვიდება? სადღაა ნდობა საზოგადოებრივ ძალებისადმი? ან რა ფასი აქვს ასეთ პირობებში ერთი წესების მეორეთი შეცვლას. კავკ. ნამესტნიკი გრ. ვორონცოვ-დაშკოვის ახლობელი მოხელე ირწმუნება, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ადმინისტრაციის აზრით, კავკასია ჩვეულებრივ ცხოვრების პირობებს დაუბრუნდა, რომ იქ ახლა გადამეტებული ბოროტმოქმედება არ არსებობს, რომ გასული წლის მოძრაობის ნაჩინჩხლებიც კი ჩამქრალია. მაშ, რაღათ არის საჭირო ისევ რეპრესიები, რომლებიც აუტანელი ხდება ხალხისათვის? იგი ბორკავს ხალხის საწარმოვო ძალებს, იგი ხუთავს საზოგადოების თვითმოქმედებას იმ ფარგლებშიაც კი, რომელნიც რუსეთის „კონსტიტუციონურ“ი კანონებით აღიარებულია. ხუთავს როგორც სოფელში, ისე ქალაქში.

თუ სოფლათ გლეხი ყოველდღე მათრახსა და ახალ გადასახადებს მოელის, ქალაქებშიაც მუშები უკეთეს მდგომარეობაში არ იმყოფებიან· აქ მათთვის დახშულია ყოველგვარი ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლოთ მათთვის რაიმე გაუმჯობესებ ის და ხვედრის შემსუბუქების მოტანა. პროფ. კავშირები 4 მარტის კანონის ფარგლებშიაც კი დევნილია, მათ ხურავენ არა კანონით, არამედ განსაკუთრებული წესების მიხედვით, მათ ნებართვას არ აძლევენ ამავე წესით. გაუწყნარებელი ჩხრეკა-დაპატიმრება, დატუსაღება, გადასახლება აქაც ისევ მძვინვარებს. და აი, ასეთ პირობებში ვითარდება უმუშევრობა, ხელოვნურათ მწვავდება კრიზისი, ხელი ეშლება წარმოებას, ილება ბაზარი, ხალხი იძულებული ხდება მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი მოთხოვნილებები და ასე, ნახევრათ მშიერ-ტიტველი ცხოვრება ატაროს.

ზოგიერთი „პუბლიცისტები“ რასაკვირველია, მზათ არიან ყველა ეს უბედურება მუშათა „კლასიურ ბრძოლას“ მიაწერონ და ამას სჩადიან არა მარტო „ივერიის“ ფურცლებზე, არამედ პროგრესიულ ორგანოებშიაც. ამით ისინი, რასაკვირველია, მხოლოდ რეაქციას ემსახურებიან, მხოლოდ უაზრო და უთავბოლო რეპრესიებს აძლევენ ნიადაგს, საზოგადოების წინმსვლელობას კი ხრამში აგდებენ და ამასთანავე თავი პროგრესისტათ მოაქვთ, ქვეყნის და ერის ხსნას გვპირდებიან, მარა ხალხიც იცნობს ასეთ „პუბლიცისტებს“ და მათ მოღვაწეობას. ამ ხალხის გუშინდელ მაქებ-მადიდებელნი დღეს მისი აუგის თქმაში ილაღავენ ყბას. სამწუხაროა ასეთი დაკნინება საზოგადოების, პრესის და აზროვნების!

## რევოლიუცია სპარსეთში

**დეპეშები.**

(პეტ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

**15—16 ივლისი.**

**თეირანი.** უმაღლესი საბჭოს დეპუტაცია მივიდა ყოფილ შაჰთან და გამოაცხადა, რომ მას უნიშნავენ მუდმივ პენსიას 45,000 მანეთს, და მოსთხოვეს, რომ საჩქაროთ გავიდეს სპარსეთიდან და დაუბრუნოს სასახლიდან გატანილი გვირგვინის ბრილიანტები. შაჰი დასთანხმდა ძვირფას ნივთების დაბრუნებაზე, მხოლოდ ეხლა მოლაპარაკება აქვთ პენსიის შესახებ.

(გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ).

**რეაქციონერების გასამართლება.** 14 ივლისს გაიხსნა უმაღლესი ტრიბუნალის სხდომები რეაქციონერების გასასამართლებლათ. სასამართლოს წარუდგებიან რამდენიმე ღირს-შესანიშნავი პირნი, მათ შორის უპირველეს ყოვლისა თეირანის ყოფილი გუბერნატორი მუსარველ-მულკი, რომელსაც პოლიტიკურ მკვლელობას აბრალებენ, შემდეგ ბაღადურ ჯენგი და ხსვები.

**ადერბილის გუბერნატორი.** ასტარის გუბერნატორი მენტესერე—სალტანე დაინიშნა ადერბილის გუბერნატორათ. 14 ივლისს ის უკვე გაემგზავრება არდებილში.

**თავრიზისკენ ჯარის გაგზავნა.** 14 ივლისს თავრიზის გზისკენ გაგზავნეს ფიდაების და ბახტიარების რაზმი, რომ ჩააქრონ კონტრ.-რევოლიუციონური მოძრაობა და წესიერება აღადგინონ.

**სპარსეთის პარლამენტის ყოფილ პრეზიდენტის აზრი ეხლანდელ მდგომარეობაზე.** გაზ. „პესტერ ლლოიდი“-ს კორესპონდენტს უბაასნია სპარსეთის პარლამენტის ყოფილ პრეზიდენტ იზმაილ ხანთან სპარსეთის საქმეთა დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. იზმაილ-ხანი რამდენიმე დღეა პარიზშია, საიდანაც სამშობლოში წავა, რომ მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ საქმეებში. იზმაილ-ხანი ვერაგულათ დაატუსაღა ყოფილმა შაჰმა და დიდის ვაი-ვაგლახით მოახერხა საზღვარ გარეთ გაქცევა. მას შემდეგ ის ლონდონში ცხოვრობდა და იქიდან ადევნებდა თვალ-ყურს და ელოდა ვერაგ შაჰის და ხალხს შორის ბრძოლის გათავებას.

იზმაილ-ხანმა განაცხადა, რომ საზღვარ-გარეთ მყოფი სპარსელები დიდის სიხარულით შეეგებენ სპარსელ კონსტიტუციონალისტების გამარჯვებას.

ამ ვვარათ—სთქვა მან—ბედს ძლივს ვეღირსეთ გამოგვეგლიჯა ჩვენი სამშობლო საშიშარი მტარვალის ხელიდან. თუ უკანასკნელი ცნობები სიმართლეა, სპარსეთის კონსტიტუციას არაფერი საფრთხე არ მოელის არც რეაქციის და არც რუსეთის მხრით. რუსეთის ჩარევის ჩვენ ძალიან გვეშინოდა და ძალიან მოხარული ვართ, რომ ეს არ მოხდა. რადგან მაჰომედ-ალიმ „თვითონ“ სთქვა უარი ტახტზე, რუსეთს არავითარი საბუთი არა აქვს დაეხმაროს შაჰს.

შემდეგ იზმაილ-ხანი შეეხო კონსტიტუციონალისტების მოქმედებას და დაახასიათა რეგენტი, უწოდა მას „უდიდესი იდეალისტი“.

რაც შეეხება პატარა შახს—ახმედ-მირზას დაასრულა იზმაილ ხანმა—მისი მომზადება სახელმწიფო საქმეებისთვის ახლა უნდა დავიწყოთ. ამდენ ხანს მისი აღზრდა დავალებული ქონდა რუსს, ახლა კი მისი აღზრდა დავალებული ექნება ფრანგს, რომელიც შესძლებს ჩაუნერგოს ახალგაზრდა შაჰს ლიბერალური აზრები. ევროპის აფიცრების და უმეტესათ, ახალგაზდა ოსმალები!, რომლებიც დახმარებას გვიწევდენ ამ ხანგრძლივ ბრძოლაში, მუდამ მადლიერი ვიქნებით. ახალი სპარსეთი დაანახებს ყველას, რომ ის იმ ნდობის ღირსია, რომელიც მას გამოუცხადეს ასეთ მძიმე დროს.

**როგორ ებრძოდა ყოფილი შაჰი განათლებას.** მაჰომედ-ალიმ, როგორც იქნა, ისწავლა რიცხვის გამრავლება და კალიგრაფია და ამით დაასრულა თავისი განათლება. მას ეგონა, რომ ის ყველაზე განათლებული იყო და მეტი მისთვის არაფერი არ იყო საჭირო.

ის მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობდა ნაკლები განათლება მიეღო სპარსელებს, რადგან ეშინოდა განათლებული სპარსელები ვერ შეურიგდებიან ჩემს დესპოტიურ რეჟიმსო.

ის ჯერ კიდევ მემკვიდრე იყო, რომ ბრძოლა გამოუცხადა განათლებას. დახურა თავრიზის შკოლები, სადაც უცხო ენებს ასწავლიდენ.

როცა 1909 წ., შეუგნებელმა მცხოვრებლებმა ბაჟის აწევის გამო, რომელსაც ბელგიელებს აბრალებდენ, მოითხოვეს მათი გაძევება, ადერბეიჯანის ნამესტნიკმა, ტახტის მემკვიდრემ ურჩია მათ, ეთხოვათ მისი მამისთვის დაეხურა 14 სასწავლებელი, რომლებიც ევროპის გემოზე იყო.

მაჰომედ-ალიმ ადგილიდან დაითხოვა თავისი საყვარელი მდივანი სიგატა-დოულე, რადგან მან არ დაუშალა მის ბიძას მიეღო სწავლა მოსკოვში. ყმაწვილმა თავის სილამაზით მოხიბლა ყოფილი შაჰი და მოინდომა მისი დათხოვება.

ამავე მიზეზით მან დაითხოვა ადერბეიჯანის მთავარ-მართებელი ნიზამ-სალტანე, რომელმაც არ მისცა მის განკარგულებაში მისი ლამაზი შვილი.

ასეთმა ზომებმა ვეღარ უშველეს მაჰომედ-ალის, სპარსეთის ბნელ ცხოვრებაში ჩქარა შეიჭრა განათლების სხივი და უცბათ გაისმა ხმა: „ძირს დესპოტიზმიო“.

**ნაციონალისტთა თათბირი თეირანში.** თეირანიდან „ნოვ. რუს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ 10 ივლისს მოხდა ნაციონალისტთა თათბირი, იმ კითხვის შესახებ, თუ როგორ მოექცენ ურმიაში დაბანაკებულ ოსმალეთის ჯარს. ბევრი იმ აზრისა იყო, რომ გაეგზავნათ ოსმალეთისთვის ულტიმატუმი და მოეთხოვათ ჯარის გაყვანა, მაგრამ სამხედრო მინისტრი სეპეხდარი წინააღმდეგია იყო და დაამტკიცა, რომ ოსმალეთის ჯარი სპარსეთის საზღვარზე კარგათ იქცეოდა. შემდეგ მან განაცხადა, რომ რადგან ახლა სპარსეთში უცხოელებს არაფერი საფრთხე არ მოელით, ოსმალეთი თვით გაიყვანს ჯარსო. სეპეხდარის წინადადება მიიღეს.

ცხრა ივლისს სეპეხდარმა ინახულა სატახტო ქალაქში მოსული ჯარი, რომელიც 40 ათას, მშვენივრათ შეიარაღებულ ნაციონალისტებისაგან შესდგება.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15—16 ივლისი.

**ოსმალეთი**

**სტამბოლი.** საბერძნეთის მთავრობის გადაწყვეტილების საპასუხოთ, რომ გაიწვიონ საბერძნეთის მიერ მაკედონიაში გაგზავნილი 200 აფიცერი, რომლებსაც რალლის მთავრობამ გაკიცხვა გამოუცხადა, პორტამ თავის მხრით გადასწვიტა დაანებოს თავი საბერძნეთის საზღვარზე შეიარაღებას. ომის შიში ეხლა სრულიად აღარ არის. ოსმალეთ-საბერძნეთის შორის ურთიერთობას ახალი ხანა დაუდგა.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** 14 ივლისს ფინლიანდიის სასამართლოში, ტერიოკში დანიშნული იყო გასარჩევათ გერცენშტეინის მკვლელობის შესახებ საქმის გარჩევა. დუბროვინი, რომელზედაც ეჭვი აქვთ, რომ ამ მკვლელებისთვის აქეზებდა, სასამართლოში არ გამოცხადდა. მის მაგიერ მოვიდა მისი რწმუნებული ნაფიცი ვექილი ბულაცელი და ნაფიც ვექილის თანაშემწე ნიკიტინი და მოითხოვეს დუბროვინის შესახებ საქმის მოსპობა. სამოქალაქო სარჩელის წარმომადგენელი ვებერი იცავს ბრალდებებს, მაგრამ დაწვრილებით ფორმულიროვკაზე უარს აცხადებს. სასამართლომ დაადგინა საქმის გარჩევა გადასდოს 12 აგვისტოსთვის და დაავალა ექიმ დუბროვინს ან თვითონ გამოცხადდეს ამ დღეს, ან რწმუნებული გამოგზავნოს, ხოლო მომჩივნებს—წარმოადგინონ ამ დროისთვის დუბროვინის წინააღმდეგ დაწვრილებითი აღნუსხული ბრალდებები.

**ოდესა.** სადგურ მიგაევოზე საქონლის მატარებლები ერთმანეთს დაეჯახენ. დაიმტვრა ექვსი ვაგონი სასიკვდილოთ დაიჭრა კონდუქტორი.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** გაიხსნა ბაზრობა.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 46, მოკვდა 33, ავათ არის 704.

**ბობროვი.** სოფელ ველიკო არხანგელსკში დაიჭირეს შვიდი ყაჩაღი. იპოვეს იარაღები. ყაჩაღთა ბრბოს მეთაური ვერ დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** ურალის ოლქის, ყირგიზთა სოფელში შავი ჭირი გაჩნდა. 13 ივლისამდე ავათ გახდა 10, მოკვდა 8. სოფელს ალყა შემოარტყეს, რომ ჭირი სხვა სოფლებსაც არ მოედოს.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის სამხედრო სასამართლომ სოფელ მედვედში განიხილა ურალის პოლკის ლეიბ-გვარდიის სალდათ ჩემესოვის საქმე, რომელმაც დისციპლინარულ ბათალიონში დანით სასიკვდილოთ დასჭრა როტის უფროსი კოვალევსკი და ერთი სალდათი მსუბუქათ, როცა მას როზგებს სცემდენ ჩემესოვი დამნაშავეთ იცნო სამართლომ და დახვრეტა გადაუწყვიტა.

**კურსკი.** დროებით სამხედრო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი შჩიგროვის რევოლიუციონურ ორგანიზაციის საქმის შესახებ. ამ განაჩენით ცხრა კაცს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, მათ შორის მეორე დუმის ყოფილ დეპუტატ პიანიხს, 26—კატორღა, მათ შორის პირველი დუმის ყოფილ დეპუტატ მერკულოვს და მღვდელ მოლიტკოვს, 341—გადასახლება, ერთს სატუსაღო, ხოლო 20 გაამართლეს. ორი დამნაშავის საქმის გარჩევა გადადვეს, სანამ მორჩებიან. ამასთანავე სასამართლომ დაადგინა სიკვდილით დასასჯელთა შესახებ განაჩენი წარუდგინოს ჯარის უფროსს.

**პოლტავა.** 15 ივლისს ღამით დაიმტვრა საქონელის მატარებელი. დაიმტრა შვიდი ვაგონი. დაზიანდა 15.

**პეტერბურგი.** არხანგელსკში ხოლერით ავათ გახდა 9, მოკვდა; არხანგელსკის მაზრაში ავათ გახდა 2, მოკვდა 2: კემში ავათ გახდა 3, მაზრაში(?) 10, მოკვდა 5, შენკურსკის მაზრაში ავათ გახდა 12, მოკვდა 4. რიგაში ავათ გახდა 3, მოკვდა 1. რიბინსკში ავათ გახდა 5, მოკვდა 3.

### საზღვარ-გარეთ

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. მრავალ შეკითხვებზე ბრიანმა განაცხადა, რომ მთავრობის პროგრამა სავსებით მიმართულია იქითკენ, რომ დაიცვას მშვიდობიანობა, როგორც საფრანგეთში, ისე მის გარეთ, რაც შეეხება პალატაში წამოყენებულ კითხვას დათხოვნილ ფოსტის მოხელეთა ამნისტიას, დღეს მთავრობას არ შეუძლია არც უარის და არც თანხმობის თქმა, მას არ შეუძლია აღნიშნოს ამნისტიის ვადა და არც ის შეუძლია სთქვას, რომ ის სულ არ იქნება. მთავრობა ეცდება თავისუფლების გაფართოვებას და მისი მისწრაფება იქნება თავიდან აიცილოს ყოველივე უწესოება. ბრიანი დასასრულ სთხოვს პალატას სრული ნდობა გამოუცხადონ მას.

პალატამ 306 ხმით წინააღმდეგ 46 ხმისა მიიღო მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, რომლითაც მოწონებულ იქნა მთავრობის განმარტება და სრული ნდობა გამოეცხადა, იმ იმედით, რომ ის იქნება რესპუბლიკანელთა უმრავლესობის აზრის გამომხატველი. საზღვაო უწყების კრედიტის მიღების შემდეგ, 14 ივლისს, დაიხურა დეპუტატთა პალატის და სენატის სხდომები.

**ლონდონი.** ლონდონის პალატამ მიიღო კანონპროექტი სამხრეთ - აფრიკის ახალშენების შეერთების შესახებ.

**მელილია.** 14 ივლისს ესპანელ ჯარსა და მაროკკოს ტომთა შორის ბრძოლა ისევ განახლდა. ბრძოლაში დაიხოცენ გენერალი პიტოსი და რამდენიმე აფიცერი.

**მადრიდი.** მეფემ დეკრეტს მოაწერა ხელი, რომლითაც გააუქმა მთელი ესპანიისთვის კონსტიტუციონური გარანტია.

**მადრიდი.** ბარსელონაში მდგომარეობა სერიოზულია. 15 ივლისს ბრბო თავს დაესხა ქალთა მონასტერს.

## უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი.

**კრიტოსის საკითხი და ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი.** მფარველ სახელმწიფოთა უკანასკნელ ნოტით აღშფოთებულმა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა სახელმწიფოებისადმი პროკლამაცია გამოსცეს, სადაც აცნობენ მათ ამ კითხვის შესახებ თავიანთ შეხედულებას.

ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ ამ სამაგალითო პროკლამაციას. ხოლო ჯერ აღვნიშნავთ ოსმალეთის გაორებას(?). ოსმალეთში თითქო ორი მთავრობა არის: ახალგაზდა ოსმალთა და ნამდვილი მთავრობა. ორივე ამ მთავრობის მოქმედებას არა სოლიდარულათ, თითქოს დეზორგანიზაცია შეაქვს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

საყურადღებო კითხვებზე ორივე მთავრობას სხვადასხვა გადაწყვეტილება გამოაქვს. ავიღოთ მაგალითათ კრიტოსის საკითხის გადაწყვეტა: ხილმი ფაშის კაბინეთი, თუმცა არა ოფიციალურათ, მაგრამ მაინც დაეთანხმა სახელმწიფოებს, ხოლო „კომიტეტის მთავრობა“ კი პროტესტს აცხადებს სახელმწიფოების ნოტაზე.

ამ ნიადაგზე მოხდა უთანხმოება კომიტეტსა და ხილმი ფაშას კაბინეთს შორის, რასაც შედეგათ მოყვება ხილმი ფაშას დაცემა. სამსახურიდან გავა აგრეთვე რიფაატ ფაშა, საგარეო საქმეთა მინისტრი.

ხილმი ფაშას ადგილას კომიტეტი ასახელებს ქიამილ ფაშას, რომელსაც სამართალში აძლევდენ წინათ. ოსმალეთში რაღაც ცუდი ამბავი ხდება, რაც ცუდ გავლენას მოახდენს განახლებულ წეს-წყობილებაზე. პროკლამაციის ტექსტი ასეთია:

1) ოტტომანის იმპერია თავის დღეში არავის ნებას არ მისცემს, რომ მათ სამშობლოს მოაშორონ ის ადგილი, რომლის შეძენა ძვირათ დაუჯდა მას.

2) ლოღიკას, აზროვნებას და საერთაშორისო უფლებას მოკლებული იქნება, რომ ოსმალეთის უფლებები კრიტოსზე გაუქმებულ იქნეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მცხოვრებთა ერთ ნაწილს სურს ოსმალეთიდან განთავისუფლება. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენი უფლება დაცულ იქნას.

3) კუნძულის საბერძნეთთან შეერთება იმ დროს, როცა იქ ფართე ავტონომიით სარგებლობენ, ნიშნავს იმას, რომ კუნძულის კეთილდღეობა, რომელიც მოსალოდნელი იყო ლიბერალურ და ავტონომიურ მმართველობის დროს, უნიადაგო დარჩეს.

4) თუმცა ჩვენ პრინციპიალურათ სისხლის ღვრის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ჩვენი ნაციონალური ღირსების შესარჩენათ იძულებული ვართ იარაღს მოვკიდოთ ხელი.

5) ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენი სუვერენიტეტი კუნძულზე დარჩეს. საჭიროა ავტონომიის ფორმა კუნძულისთვის განსაზღვრულ იქნას ისე, რომ ეთანხმებოდეს ოტტომანის სუვერენიტეტს.

6) როგორც კი სახელმწიფოთა ჯარები დასტოვებენ კუნძულს, მცხოვრებთა ნაწილს, რომლებსაც ოტომანის პატრიოტები შეადგენენ, თავს დაესხმიან და შეურაცხყოფენ. თუ ეს ასე მოხდა, ჩვენ ყველანი დავსჯით თავდამსხმელებს.

დასასრულ კომიტეტი იმედს აცხადებს, რომ სახელმწიფოები სამართლიანათ მოიქცევიან და ამიტომ აქტიურ მოქმედებას ჯერ არ იწყებენ-

### რ უ ს ე თ ი.

**გენ. რეინბოტის საქმე.** როგორც გაუგიათ, მოსკოვის ყოფილ გრადონაჩალნიკ რეინბოტის საქმე სენატში გაირჩევა სექტემბერში.

**ყოფილ დეპუტატების განთავისუფლება.** მეორე დუმის ყოფილ დეპუტატებს სატუსაღოს გამგეობის განკარგულებით კრასნოიარსკის სატუსაღოდან გაანთავისუფლებენ და გაგზავნიან ს. რიბინსკში, ტურუხანის მაზრის ახლო.

**ჯამაგირები სამრევლო სკოლის მასწავლებლებს.** უმაღლესათ დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო დუმის და საბჭოს მიერ მოწონებული კანონი გადაიდოს ხაზინიდან სამრევლო სკოლათა მასწავლებლების ჯამაგირათ ერთკლასიან სკოლების მასწავლებლებს—360 მ. მასწავლებელ კაცს და ქალს და 30 მ. სამღვთო სჯულის მასწავლებელს.

### საზღვარ-გარეთ.

**ბრძოლა მაროკოში.** ისპანიიდან მოსული ცნობებით მელილიაში ათი საათის საშინელმა ბრძოლამ დავთარი დაუბნია ისპანელებს. მაროკოელებმა ხელთ ჩაიგდეს ბატარეია და ციხის ნაწილი. ისპანელებმა მოუკლეს ასი სალდათი და 14 აფიცერი, მძიმეთ დაუჭრეს 380 კაცი. დასახმარებლათ გაიგზავნა 6000 კაცი. ციხის ახლო ჰაერი მოწამლულია მკვდრების გვამების სუნით. საავათმყოფოები სავსეა. მაროკოელები სახეთ(?) ტყვიებით ისროდენ. მადრიდში რევოლიუციის ცეცხლი ინთება დინასტიური პერევოროტის მოსახდენათ. აზრათ აქვთ მობილიზაცია მოახდინონ. მოსული ცნობებით ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია 2000 მაროკოელს.

**ბუდდას ნეშთის პოვნა.** გაზეთ „რეჩ“-ს ლონდონიდან დეპეშითატყობინებენ, რომ ინდოეთის არქეოლოგიურ დეპარტამენტის ძველ ბუდდის ეკლესიის ადგილას მიწის თხრის დროს უპოვნიათ ბუდდას ნეშთი.

### რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია სპარსეთში.

#### I.

სპარსეთიც ოსმალეთის გზას დაადგა. მაჰომედ-ალი შაჰსაც სულთან აბდულჰამიდის ბედი ეწვია. შაჰმა ბნელი ძალები აამოძრავა, კანონი და სამართალი ყაჩაღებს გადასცა, ქვეყნათ ანარქია და მტარვალობა გაბატონა, რომ ყაჯართა დინასტიის ტახტზე ძველებურათ, დესპოტიურათ ეპარპაშა. და აი, დღეს ტახტმა და სპარსეთის ერმაც თავი დაუკრეს და ისიც რუსეთის საელჩოში და შემდეგ რუსეთში მიეშურება ამხედრებული ხალხის რისხვის თავიდან ასაცილებლათ.

რევოლიუციამ გაიმარჯვა, დესპოტია დამარცხდა.

რამ გამოიწვია ეს ძლიერი რევოლიუცია, რომელიც [illegible] მეტია, რაც სპარსეთს მოევლინა და უკანასკნელ ჟამს მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო?

სპარსეთი ჯერ კიდევ ძველი სახელმწიფოა. აქ სავსებით ბატონობს წარმოების ის წესი, რომელსაც კ. მარქსმა აზიური უწოდა. რას ნიშნავს ეს? წარმოება ნატურალურია, საწარმოვო ძალთა ბატონ-პატრონი კი სახელმწიფო და მისი მეთაური შაჰინ-შაჰი. მთელი სახელმწიფოს ადგილ-მამული მის საკუთრებას შეადგენს. მას გაჰყავს არხები, გვალვა-მოუსავლობის ჟამს მცხოვრებთ სათესლე მარცვალს ურიგებს და ასე, მთელს წარმოებას მიუძღვის. წარმოების ადგილობრივ მეთვალყურე მის მიერ დანიშნული მოხელეა. ეს უკანასკნელი ადგილ-მამულს გლეხებს იჯარით აძლევს და მათგან მოსავლის ერთ ნაწილს ბეგარის სახით ღებულობს. ასეთი იყო ეკონომიური ურთიერთობა პირველ ხანებში. საუკუნეთა განმავლობაში სურათი რამოდენიმეთ იცვლება: საკუთრება და მიწათ-მფლობელობა ერთი მეორეს შორდება. შაჰი კვლავაც მესაკუთრეა, თუმცა უმეტესათ მხოლოდ სახელით, მისი მოხელე-ხანი მუდმივი მიწათმფლობელია, გლეხი მუდმივი მოიჯარადრე. გლეხი ვალდებულია შემოსავლის ერთი ნაწილი ხანს მისცეს, მეორე შაჰს. ეს მიწის ბეგარაა და სახელმწიფო გადასახადი ერთსა და იმავე დროს. ხანი მოვალეა შაჰს თავისი შეიარაღებული რაზმით ომში ეხმაროს. მართალია, ხანები მას ხშირათ ეურჩებიან, მარა, სამაგიეროთ, შაჰს უფლება აქვს ასეთებს ადგილ-მამული ჩამოართვას და თავის მფლობელობაში ჩარიცხოს. ასე, შაჰი ხანებსა და გლეხებს ბატონობს, ხანები გლეხებს. ამნაირათ, გლეხ-კაცობას ორი მხრიდან სძარცვავენ და მას ეკონომიურათ ანადგურებენ.

ხანების გვერდით სეიდებია. მთელი მათი სოციალური ავლა-დიდება ალლაჰისა და წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობაა, როგორც ისინი ამბობენ. ისინი თავს ღვთის-კაცებათ აღიარებენ და სპარსეთის ხალხისგან ღვთიურ პატივისცემას ითხოვენ.

სეიდებს მუსულმანთა სამღვდელოება მისდევს, თან. ნატურალური წარმოების ხანაში სამღვდელოება ყველგან დიდ პატივცემაშია სამოთხისა და ჯოჯოხეთის კარები მის ხელშია, აცხადებს ხალ-

*
* *

. . . . . . . . . . . . .

და ვაიმე, თუ შენი გრძნობაც არ არის
წმინდა;
შენც ქალწულისა, ვით საუნჯის დაპყრობა გინდა.—
მაშინ თავს დავხრი, შენსკენ მსრბოლი
უკან დავიხევ.
კოცონს ტრფობისას ჩემდა მწველად გულში ჩავიხევ.
თრთოლვით გაპყრობილს შენსკენ ხელებს
ამოთ დაუშვებ
და მარტოთ-მარტო ბრძოლის ჰიმნით
ალამს აუშვებ!

**ბაბ—ი**

*
* *

ახმაურდი, ჩემო ჩანგო,
ნუ შესწყვეტავ სიმთა ჟღერას,
ხალხი ისმენს შენს იდუმალ
გულის გუგუნს, გულის ძგერას.

*

დე დაყრუვდეს უდაბნოსებრ
მსხვერპლ-ნაფენი ბრძოლის ველი
ყიჟინის წილ ყოველ მხრიდან
მოისმოდეს ოხვრა მწველი.
და ქვეყანა გაეხვიოს
გლოვის ძაძა-სამოსელში
ბოროტება ავ-ხარხარით
კვალად ძრწოდეს მთა-ბარ-ველში.
დიახ, დაე... მაგრამ მაინც
არ შესწყვიტო სიმთა ჟღერა
სამსახურათ დაისახე
გულ-სიმტკიცით, ხალხის მღერა.

*

ახმაურდი ჩემო ჩანგო
ნუ, ნუ გამხვევ სევდის ქსელში
გულს ნუ მიწყლავ მწარ დუმილით
კმარა ტანჯა მის ნაღველში.

**გ. ქუჩიშვილი**

## მკვლელობა
### (ფსიხოლოგიური ეტიუდი)
(როდენბახისა)

არის გასაოცარი, გრძნობათა იდუმალი სამეფო, რომელიც სავსეა თავისი გამოურკვეველ გამოცანებით, სავსეა ნახევრათ გაურკვეველ გრძნობებით, რომელთაგან იზრდებიან მრავალი ფესვები ყოფა-ცხოვრებისა.

იქ აზრთა გასაოცარი, თავისებური თამაში ხდება. ის თამაში ხშირათ მოქმედებებში გამოიხატება და ყოველივე ეს ხდება გარეგან გრძნობათა შეხებით, ყნოსვით და მხედველობის საშვალებით. ჩრდილოელი მამაკაცი, როდესაც უეცრათ ნაცრის ფერ ნათელ თვალებიან დედაკაცს შეხვდება, რაღაცნაირ დარდს განიცდის, განიცდის სევდას სამშობლოს დაშორების გამო, და თავისიანებში დაბრუნების მწვავე გრძნობას ეძლევა. არის შემთხვევა, როდესაც ფორთოხლის კანს სჭრი, ასე გგონია, თითქოს თეატრის ჰაერს სუნთქავ, ისეთ გრძნობას იწვევს ის შენში. ქალაქის ადგილზე, ზაფხულში, როდესაც გაჟღენთილია ჰაერი ქუჩების შესასწორებლათ დამზადებულ ასფალტის სუნით, გინდა სადმე ახლო დაისვენო და გემებით დატვირთულ ზღვის ნაპირებზე თავისუფლათ ამოისუნთქო. ბურუსში, თვალების სიელვარეს რომ დაინახავთ ის ადამიანები მოგაგონდება, რომელიც მიისწრაფვიან თავგანწირულებისაკენ. მხოლოდ ამნაირი თვისებები, გარეგან გრძნობათა ჰიპნოზით შეიძლება ავხსნათ, მხატვარი X-ს საშინელი შემთხვევა, რომლის დანაშაულობის ჩადენამ განცვიფრებაში მოიყვანა მისი მეგობრები და საზოგადოება. მხატვარმა ზედი-ზედ ექვსჯერ ტყვია დაახალა თავის მეუღლეს, მარად მშვიდ, წყნარსა და კეთილ მხატვარზე ვერავინ ვერასოდეს ვერ იფიქრებდა, თუ ვისმეს ხელს შეახებდა. შემთხვევა მოულოდნელი არ იყო: ჩხუბი და წამ და უწუმ გიჟურ გრძნობათა აშლა მიზეზი შეიქნა საშინელი შემთხვევის. იგი წინდაწინვე ფიქრობდა და ემზადებოდა მკვლელობისათვის. მხატვარი ციხეში ყოველთვის სდუმდა, მას ვერაფერს ვერ ათქმევინებდით. საიდუმლო მიზეზები დანაშაულობისა ყველასათვის გამოურკვეველი იყო. მხატვარს მოაგონდებოდა რა, ჩადენილი ამბავი, სინანულს ეძლეოდა, სტიროდა დიდხანს და ცოლის სიკვდილისაგან გადარჩენის იმედს არ კარგავდა.

დღეები გადიოდა, ცოლი საავათმყოფოში იტანჯებოდა, გადარჩენის იმედი არ იყო. იგი ღრმა ჭრილობებისაგან დამახინჯებული გაწოლილი იყო გულ-აღმა და კისერზე ღრმათ აღბეჭდოდა სიკვდილის ღრმა ბეჭედი. დატუსაღებულმა ქმარმა ცოლის მდგომარეობა იცოდა, რადგან ციხის ზედამხედველი ყოველთვის თავაზიანათ აწვდიდა მას გაზეთებიდან ამოკითხულ ცნობებს, სადაც მისი ცოლის ბიულეტენები იბეჭდებოდა ხოლმე. ბოლოს იმედი სულ გადაუწყდა რამდენიმე დღის შემდეგ, დაჭრილმა საშინელ ტანჯვაში განუტევა სული. მაშინ იგრძნო დამნაშავემ ნამდვილი მიზეზი მკვლელობის, იგრძნო ის რაღაც შეუკავებელი ძალა, რომელიც აუცილებლათ ხდიდა ცოლი რევოლვერით დაეჭრა.

დიახ! ახლა უეცრათ ნათლათ განიცადა ის წუთები და ყველაფერი, რაც გარდახდა, თვალ-წინ წარმოუდგა.

ქალაქის ახლოს, საღამო ხანზე მოგვიანებით, შავ, პირ-ქუშ მოჩვენებასავით მიდიოდა მატარებელი. ლოკომოტივის თავზე მიკრული ფანრის სინათლე, წითელ სისხლათ მოეჩვენა.

მკვლელს მოაგონდა ყველა წვრილმანი გარემოებებიც კი და ეს მოგონებანი მისთვის თითქოს თავის დაცვის საბუთს წარმოადგენს, ის ფიქრობდა:—იქნებ არ ვიყო დამნაშავე!

მხატვარმა აირჩია საქმის დამცველი, რომელსაც ასე თუ ისე იცნობდა და მეორე დღეს ციხეში მომსვლელთა მისაღებ ოთახში ბაასობდა მასთან.

გიყვარდათ თქვენ თქვენი ცოლი?— ჰკითხა მას საქმის დამცველმა.

—რასაკვირველია, მიყვარდა და ახლაც მეტის-მეტათ მიყვარს!—ეს სთქვა თუ არა დამნაშავემ, მწარეთ ქვითინი დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ დაწყნარდა და საშინლათ გულ-ჩათხრობილათ,—თითქოს სიზმარში ყოფილიყოს,—ლაპარაკი განაგრძო.

— მკვლელობის ჩადენა დიდი გამოცანაა. იგი აქარწყლებს შენს არსებაში ნაცნობ თვისებებს, ყველაფერს, რაც მახინჯურია და მეხსიერებაში სტოვებს მხოლოდ მას, რაც განსაკუთრებით ძვირფასი თვისებაა. მე მხოლოდ ეხლა ვხედავ იმ საუკეთესო დღეებს, რომლებიც ჩვენი ერთათ ცხოვრების ხანას შეადგენდა, იმ ხანას, როდესაც ჩვენ გვიყვარდა ერთი მეორე; როდესაც ჩემი ცოლი კეთილი სული იყო, ჩემი ერთგული და მოსიყვარულე; ჩვენი ერთმანეთის დაახლოვება დასაწყისი და ჩასახვა ჩვენი პირველი სიყვარულისა!

მხატვარი, ძალა გამოლეული, გრძნობა შერყეული კვლავ სტიროდა. საქმის დამცველიც ძლიერ აღელვებული გრძნობდა თავს, მაგრამ იგი შეეცადა წყნარი, ფრთხილი ხმით შეჰკითხებოდა:

— იქნებ მან თქვენ გიღალატათ? ნახეთ დამამტკიცებელი საბუთი?

— ოჰ, ნეტავი კი, საყვარელი ჰყოლოდა! წამოიძახა დამნაშავემ, ისეთი მაგარის ხმით, თითქოს დანამდვილებით გამოენახა იმისი მნიშვნელობა, რაც მოხდა—მე დიდი სიამოვნებით ვაპატიებდი. ყველა ქალები მტკიცე ხასიათის როდი არიან. წუთიერი გატაცება საკმაოა. პირდაპირ დანის გულში ჩაცემა ისე არ გამაწვალებდა, როგორც ათასი ქინძის თავებით დაჩხვლეტა. ჩემი ცოლი ყოველ წამს ტანჯვას მაყენებდა, ყოველ დღე, მთელი ათი წლის განმავლობაში! მხოლოდ პირველი თვე ჯვარის წერისა მეტის მეტი სიყვარულით გავატარეთ. შემდეგ ცხოვრება მისთვის ერთბაშათ რაღაც აუტანელი შეიქნა. ძარღვებ აშლილს, გაჯავრებულს სულ უბრალო რამისთვის გული მოსდიოდა. ჩემში ყველაფერს უსიამოვნოს ჰხედავდა. ჩემი მოძრაობა, ჩემი ხმა, მიხვრა-მოხვრა, ინტონაცია, ფეხის ხმა, მდუმარება—ყველაფერი, ყველაფერი აუტანელი იყო მისთვის! განსაკუთრებით ჯავრს ჰგვრიდა ჩემი ჭამა, მთქნარება ან ცხვირის დაცემინება. გონება მეკარგებოდა. მე მხოლოდ მისი საკბილო, მისი ტყვე შევიქენი. ჩემი თავი ვალდებულათ გავხადე და ყოველ წვრილმან მოქმედებას ანგარიშს ვაძლევდი, რათა ცოლის შენიშვნები არ გამომეწვია და არ გამებრაზებინა ის. ჩემი განზრახვის წინააღმდეგაც რომ წავსულიყავი, იგი მაინც ნახულობდა მიზეზს გაბრაზებულიყო, ხშირათ კიდევ უფრო უარესი: მიბრალებდა და ლაპარაკს იმითი დაასრულებდა, რომ მიმითითებდა ვითომდა ჩემ გაუსწორებელ სისულელეზე. მე კარგი ნიჭი მქონდა, მხატვრობაში დიდი სახელი გავითქვი. ჩემი ცოლი ყოველთვის მაყვედრიდა, რომ მე თუ რამეს წარმოვადგენდი, მხოლოდ იმის წყალობით, იმისი კეთილ-გონიერებით, იმისი რჩევით, ვითომ მან შემასწავლა ცხოვრება და დამიხსნა გამოურკვეველ მდგომარეობიდან!

ხი და მისი გულის მოსაჯერებლათ და მით საქმის ბედნიერების მოსაპოებლათ უხვათ აჯილდოვებს ქვეყნიური ბედნიერებით ამ „ზეციურ“ წოდებას. მით უფრო სპარსეთში—ამ თეოკრატიულ სახელმწიფოში. ამიტომაც არის, სამღვდელოება ხელოვნურათ სარგებლობს ასეთი მდგომარეობით და შაჰისა და ხან-სეიდების ხელში გაკრეჭილ ხალხს უკანასკნელ სისხლსა სწოვს.

ასეთია მოკლეთ სოციალური მდგომარეობა სპარსეთში.

შაჰის ეკონომიურ ბატონობას პოლიტიკურიც ზედ ერთვის. ყოველი მისი სურვილი კანონია, მის სურვილებს კი საზღვარი არ აქვს. შაჰს ყოველნაირი უფლება ხელთ უპყრია, ხალხი ყველა უფლებას მოკლებულია, შაჰს უფლება აქვს ყველა თავის ქვეშევრდომს ქონება წართვას და სიცოცხლე მოუსპოს, ხალხი კი მას უსიტყვოთ მორჩილებს და ასე სავსებით უფლება აყრილია ამ მრისხანე დესპოტის წინაშე.

ამ ყოველ მხრივ შებოჭილ სახელმწიფოში კაპიტალიზმი შეიჭრა. ამას უპირველესათ თვით შაჰი უწყობს ხელს. დესპოტთა სასახლე ყოველგან განცხრომა-გარყვნილების ბუდეა. და აი, შაჰიც მოწადინებულია ევროპიელი საქონელი შეიძინოს, რომ ცხოვრება მეტ ფუფუნებაში ატაროს. შაჰს ხანები და სხვა გაბატონებული კლასები მისდევენ და ასე სპარსეთიც მსოფლიო ბაზრისთვის გახსნილია. ევროპიული კაპიტალი და საქონელი სპარსეთში მიეშურება. ვაჭრობა გაჩაღდა. ქალაქები იზრდება, თეირანში სამასი ათასი მცხოვრებია, თავრიზში—ორასი ათასი. სპარსელები ქალაქურ ცხოვრებაში ჩაებენ და ასე ვაჭრობა-მრეწველობის გზაც გაკაფულია. ადგილობრივი ვაჭრების ხელში კაპიტალი გროვდება. აქა-იქ ფაბრიკა-ზავოდებიც იხსნება და სპარსეთიც ევროპის გზას ადგება. აქ ნათლათ გამოჩნდა, რომ ძველი სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაცია ქვეყნის განვითარებას უარყოფს. ვაჭრობა-მრეწველობა ქონებისა და საკუთრების უზრუნველყოფასა და ხელშეუხლებლობას მოითხოვს. სპარსეთში კი ყველგან შაჰის თვითნებობა ბატონობს. მას ფული შემოაკლდა, ვაჭარს მიმართავს და ართმევს. მას ხაზინა დაუცალიერდა—ასეთ სახელმწიფოში ხაზინა იგივე მეფის კერძო კასაა—და ხანისა და პრინცების ქონებას კონფისკაციას უკეთებს. ბურჟუაზიული წყობილება პიროვნების თავისუფლებას მოითხოვს. შაჰი კი დესპოტობას ამაგრებს, თავისუფლებას ქვეყნის დაქცევა მოსდევსო. ბურჟუაზიული წარმოებ-ბის გაჩაღება ეს სახელმწიფო ხაზინის ბურჟუაზიის სასარგებლოთ ხარჯვაა. რკინის გზებისა და ფოსტა-ტელეგრაფების გაყვანა, სავაჭრო-სამრეწველო პრემიების დაკანონება და სხვა—აი, რას ითხოვს ბურჟუაზიის ალორძინება. შაჰი კი ხაზინას ეპატრონება და თავის კერძო საკუთრებათ აცხადებს.

მოკლეთ, შაჰი ვაჭრობა მრეწველობის განვითარებას წინ ეღობება. ამიტომაც ვაჭრობა-მრეწველობა შაჰის ბატონობას ემუქრება. აქ ბრძოლა აუცილებელია: ან შაჰის ბატონობა და მით ვაჭრობა-მრეწველობის უარყოფა და ამ შემთხვევაში გაღატაკებული სახელმწიფოს უკანუკან დაქანება და გარეშე მტერთა მეოხებით სავსებით განადგურება, ან შაჰის ბატონობის დამსხვრევა და ასე, დესპოტიზმის დათრგუნვა და მით ირანის განახლება—სხვა გზა არაა.

საზოგადოებაში უკმაყოფილება ზვირთდება და მისი გადმოხეთქა ახლო მომავლის საქმეა, აქ რუსეთის რევოლიუციამ იფეთქა. რუსეთის ამბებმა სპარსეთიც შეანძრიეს, უპირველესათ კავკასიელ სპარსელთა ზეგავლენით. 1905 წ. დეკემბერში ხალხი დემონსტრაციით შაჰის პოლიტიკით უკმაყოფილებას აცხადებს. შაჰი სამღვდელოების დახმარების იმედით საზრდოობს, მარა სამღვდელოებაც უკმაყოფილო გამოდგა. მისი დიდი ნაწილი ხალხს მიემხრო და „ბესტში“ ჩასხდა—კონსტიტუციას ვუცდითო. მოლები შაჰს უსაყვედურებენ, დესპოტიზმი ხალხს ატყავებსო, ალიათ, ფიქრობენ შაჰმა ხალხს უკანასკნელი ქონი გამოაცალა, ჩვენ აღარაფერი გვრჩებაო. მოძრაობას ბევრი ხანიც მიემხრო. შაჰის თვითნებობა მათ საკუთრებასა და სიცოცხლეს ემუქრება და შაჰის ალაგმვას ითხოვენ, ასე თეირანელი ვაჭრების მეთაურობით მთელი ხალხი შეიძრა და კონსტიტუციას ითხოვს. რევოლიუცია დაიწყო.

1906 წ. დასაწყისში მუზაფერ-ედინ შაჰი იძულებული შეიქნა „საყვარელ“ ირანელთათვის კონსტიტუცია აღეთქვა, მარა დესპოტები მხოლოთ დაპირებებით ცდილობენ ხალხის ჩაჩუმებას, რომ დრო იხელთონ და თავისი დაპირება „ნებითა ღვთისითა“ უკან წაიღონ. შაჰი სდუმს. აქ სპარსეთის რევოლიუციონერები აშკარათ ხედავენ, რომ შაჰი ხალხს ატყუებს. ხალხი ამხედრდა და მრისხანე დემონსტრაციით დაპირებათა ასრულებას მოითხოვს. შაჰი თავის ერთგულ ჯარს „საყვარელი“ ხალხის ამოსაჟლეტათ მოუხმობს. აქ გამოაშკარავდა, რომ შაჰი ყველამ დასტოვა და ოპოზიციაში უდგენ: ჯარი ხალხის წინააღმდეგ იარაღის ხმარებას უარყოფს. აქ შაჰინ-შაჰიც,—ირანის ლომი გატყდა. 6 აგვისტოს 1906 წ. მთავრობის გაზეთ „ირან“-ში შაჰმა ბრძანება გამოაქვეყნა, რომლითაც იტყობინება კონსტიტუციის—„მაშვრუთა“ შემოღების და „მეჯლისი“ს—„სიმართლის სახლის“ს მოწვევას. რევოლიუცია იმარჯვებს.

ნ. რ.

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბები

**ნოე ჟორდანია.** როგორც სატახტო გაზეთები იტყობინებიან ნოე ჟორდანია 9 თვე სულ მეტათ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჟორდანია ცალკე კამერაში იყო დამწყვდეული. პოლიტიკურებთან მას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა. სეირნობის ნებას აძლევდენ წრეში მხოლოდ სხვისგან 5 ნაბიჯის სიშორეზე. იგი ცუდათ გრძნობს თავს და სამხრეთისკენ მიეჩქარება.

**თათბირი ერობის შესახებ.** ერობის შესახებ თათბირი 14 ივლისს გაიმართა თფილისის გუბერნატორის ლოზინა-ლოზინსკის თავმჯდომარეობით. თათბირში მონაწილეობას იღებდენ ქალაქისა, სამეურნეო, საექიმო და იურიდიულ საზოგადოებათა და თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი. გუბერნატორმა კრების გახსნისათანავე გააცნო დამსწრეთ საგანი თათბირისა. საგუბერნიო კრებამ უნდა გადაწყვიტოს რა ჯურის ერობა უნდა იქნეს ჩვენში შემოღებულიო. სექტემბერში კიდევ თფილისის სხვა კუთხეთა და საზოგადოებათაგან იქმნებიან წარმომადგენელნიო. ილაპარაკეს ხატისოვმა, როდზევიჩმა, სტ. ჭრელაშვილმა, ქალანთარმა და სხვ. გუბერნატორის წინადადებით როდზევიჩმა გააცნო დამსწრეთ თუ როგორ უნდა შეიკრიბოს მასალა ერობის შესახებ. როდზევიჩის აზრით ხუთი სექცია უნდა იქმნეს არჩეული. ამ აზრს ბევრნი არ დაეთანხმენ. დასასრულ გადაწყვიტეს დასახული საკითხები გაიყოს სამ ნაწილათ და ამის მიხედვით მოხსენების შემუშავება დაევალოს სამ სექციას. ამოირჩიეს 28 კაცი, რომელიც სამ სექციად დაიყო.

**ილია ჭავჭავაძის ძეგლის მოდელი.** პარიზიდან იტყობინებიან, რომ ჩვენს მექანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს უკვე დაუსრულებია ილია ჭავჭავაძის ძეგლის მოდელი.

**ჩხრეკა.** გუშინ სალდათის ბაზარში პოლიციამ და ჯარის კაცებმა რამდენიმე სავაჭრო სარდაფები გაჩხრიკეს. საეჭვო ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს.

**დახმარება გადასახლების მსურველთ.** ჩვენ გაზეთში ცნობა გვქონდა იმის შესახებ, რომ 600 სომეხმა, რომელთაც ოსმალეთში გადასახლება გადაუწყვეტიათ, დახმარება თხოვა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას. რადგან ამ ზაფხულში ხსენებული საზოგადოების გამგეობის წევრები სხვა-და-სხვა ადგილებში არიან წასულნი, ამიტომ ხსენებული შუამდგომლობა გადაეცა საზოგადოების თავმჯდომარეს არუთინოვს, რომელსაც წინადადება მიეცა გამონახოს საშუალება და დაეხმაროს გაჭირვებულთ.

**პოლიცმეისტრის ბრძანება.** მე-9 საპოლიციო ნაწილის ბოქაულის თანაშემწეს ლიმაროვს თფილისის პოლიცმეისტერმა განსაკუთრებული ბრძანებით საყვედური გამოუცხადა, იმის გამო, რომ ის მეტათ უზრდელათ მოექცა ერთ მეტათ პატივცემულ პირს, მიუხედავათ იმისა, რომ ლიმაროვმა იცოდა იმის ვინაობა. პოლიცმეისტერი წინადადებას აძლევს ყველა პოლიციელებს მხედველობაში იქონიონ ეს შემთხვევა და ყოველთვის ზრდილობიანათ მოეპყრან მცხოვრებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აფრთხილებს, რომ დამნაშავეთა სიას სასჯელის გადასაწყვეტათ გუბერნატორს წარუდგენს.

**ყალბი ფულების გამო.** ყალბი ფულების საქმის გამო პოლიციამ დააპატიმრა კიდევ ერთი კაცი, რომელმაც თავის თავს ბაქოს მცხოვრები ლევან ფენარდჟანცი უწოდა. იგი გამოტყდა, რომ ყალბი ფულების გასაღებაში მონაწილეობას ღებულობდა.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 15 ივლისს მე-11 საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს პოლიციელებმა და ჯარის კაცებმა დააპატიმრეს 7 კაცი, რომელთაც პასპორტი არ აღმოაჩნდათ.

**ახალი საფოსტო-სატელეგრაფო დეწესებულებანი.** ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველომ მიმდინარე წელს ნება დართო გაიხსნას ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებები შემდეგ ადგილებში: ქუთაისის გუბერნიის სოფ. წესსა, ჰრებალოსა, წალინჯიხაშსა და საჩხერეში, თფილისის გუბერნიის ს. გურჯაანში, ერევნის გუბერნიის ს. ჭანაბში, ბათომის ოლქის ს. ჭინკათხევში, ზაქათლის მხრის ს. ბელოკანში. შუამდგომლობა იქმნა აგრეთვე აღძრული გაიხსნას ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება ქუთაისის გუბერნის სოფ. ლაილაშში და ბათომის ოლქის ს. ხულოში.

**გლეხებს 50,000 მანეთს ახდევინებენ.** 50 ათას ახდევინებენ ქუთაისის გუბერნიის ს. ჰდილისა და დეისის გლეხებს ადმინისტრაციის განკარგულებით მემამულე თავ. გიორგი ამილახვრის სასარგებლოთ. ამ ჟამათ გლეხებმა დეპეშით თხოვეს ნამესტნიკს ჯერ-ჯერობით, სანამ სამოსამართლო პალატა გაარჩევდეს საქმეს, შეჩერებულ იქნას ამ ფულის ძალით გადახდევინება, რადგან იგი სრულიად განადგურებას უქადის მათ ეკონომიურ კეთილდღეობას. (ტ. ლ.)

**ახალი გაზეთები.** თფილისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს: თფ. მცხოვრებმა მელიქ-შახნაზაროვმა ნება დაერთოს გამოსცეს ყოველდღიური-ქართული გაზეთი „მომავალი“ და ს. თავაძემ—გამოსცეს ყოველ-დღიურივე ქართული გაზეთი „ახალი სხივი“.

**დახმარება.** ამიერ-კავკასიის ოლგის ინსტიტუტისათვის მიმდინარე წლისთვის გადაიდო 109,159 მანეთი, ამაში 58,229 ინსტიტუტის ახალ შენობის აშენებას მოხმარდება. ამდენივე ფული გადაიდება ყოველწლიურათ ინსტიტუტის შენობის დასასრულებლათ. თფილისის მიხეილის სამკურნალოსა და მასთან არსებულ საქალებო განყოფილებისათვის კი გადაიდო 147,660 მანეთი.

**პროექტი.** რადგან ქალაქის ტეხნიკურ კომისიას საზაფხულოდ სხდომები არა აქვს, ამიტომ კომისიის თავმჯდომარეს ინჟენერ ენფიანჯიანცს წინადადება მიეცა განიხილოს ინჟენერ ლისიციანის პროექტი სოლოლაკის წყლის არხების უკეთესად მოწყობის შესახებ, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა მეტათ საჭირო და საჩქაროა.

**საგერბო გადასახადები.** ქალაქის გამგეობამ შეატყობინა სიღნაღის ქალაქის მამასახლისს, რომ თხოვნებს სახლების გადაკეთებისა და აშენების შესახებ არავითარი საგერბო გადასახადები არ უნდათ.

**ახალი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.** ახლო მომავალში სოფ. კულაშში (ქუთაისის მაზრა) გაიხსნება ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

**საერობო სექციის კრება.** დღეს თფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება სხდომა საერობო 1-ლი სექციის წევრთა პირველი კრება. დამსწრენი ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ აზრს ერობის შესახებ და შეკრებილ მასალას მომავალ კრებას წარუდგენენ.

გუშინ წინ 16 ივლისს პოლიციელებმა გაჩხრიკეს ეკსარხოსის მოედანზე სახელოსნო სასწავლებლის შენობაში მცხოვრები სტუდენტი ოკუნევი. ოკუნევს მთავრობის საწინააღმდეგო არა აღმოაჩნდა-რა.

---

დამნაშავე ერთი წუთით შეჩერდა, თითქოს იგი ისვენებდა მოგონებათა ნანგრევებ შუა. მან განაცხოველა მძიმე მოგონებანი, საქმის დამცველი ყურს უგდებდა და ეძებდა მიზეზებს, თუ რა გამოადგებოდა საქმის დაცვის დროს საბუთათ.

— თქვენ გესმით, — ისევ განაგრძო მხატვარმა, — მე ათასჯერ მერჩივნა საყვარელი ჰყოლოდა ამ ველურ საქციელს, რომელიც ჩემს წინააღმდეგაა მომართული. მაგრამ ვაი, რომ ერთგული ცოლი დარჩა! იქამდის ერთგული, რომ მე დამტანჯა ამით. პატარა სულელ ბავშსავით მაწვალებდა, იმ ზომამდის გრძნობდა ჩემ დამი ზიზღს, რომ ყოველ ნაბიჯზე შეურაცხყოფას მაყენებდა თავისი აულაგმავი გულის თქმებით და ეს საყვედური მომართული იყო ჩემდამი, თითქოს ის ჩემი საკუთარი სიტყვები იყო ჩემი საკუთარი გამოთქმა, თითქოს აზრებიც ჩემი იყო, მაგრამ გადამახინჯებული მისგან, განგებ, რომ ამით ჩემთვის წინააღმდეგობა გაეწია. ერთი სიტყვით, ასე მეგონა მე ვლაპარაკობდი, მხოლოდ მიღებული მქონდა სხვა სახე, დამახინჯებული, ბოროტების შემქნელი — შექმნილისავე საწინააღმდეგოთ. და მართლა, ხომ მე შევქმენი ის ძალა, მე იგი ვნახე დაბადებით ჭკვიანი, მაგრამ არა გონივრულათ აღზრდილი. იგი მოკლებული იყო ყოველსავე აზროვნებას, მხოლოდ მე გავხსენი მისი დედა-კაცური ტვინი, მისი თვალები და მთელს მის არსებას უმაღლესი ინტელექტუალური სიცოცხლე მივანიჭე. ვამცნე, გავაგებინე ნეტარება ხელოვნებით, და ბოლოს მე მხოლოდ ერთმა აღმოვაჩინე მასში დედა-კაცი, ჩემგანვე იცნო მან თავისი სქესი, სიყვარული და ვნება. მე სინათლეზე გამოვიტანე ბნელი საიდუმლო გზები მისი სულისა, უჩემოთ მას იგი სრულიად არ ეცოდინებოდა. მე მარტო ერთმა მივეცი მას იმ კარების გასაღები, რომელსაც მიჰყავს ადამიანი დაუსრულებელ საიდუმლოების შემეცნებისკენ... და შემდეგ მევე თავში დამჰკრა ეს ჯადოსნური გასაღები.

— ეგ თქვენს დანაშაულს სრულებით არ არკვევს, განაცხადა დამცველმა. ერთის მხრით, თქვენ სრულებით მართალი ხართ და სავსებით იმსახურებთ სრულ პატივისცემას თქვენი მოთმინებისათვის, მეორე მხრით, თქვენ აქ ურევთ წვრილმან უსიამოვნებებს, რომელიც აუცილებელი შედეგია ოჯახურ ცხოვრებაში.

საქმის დამცველს საჭიროთ მიაჩნდა დაემატებია:

— ბალზაკმა მთელი წიგნიც კი დასწერა ამის შესახებ.

— თქვენ მართალს ამბობთ, ისევ განაგრძო მხატვარმა, — ეს მიზეზები სრულებით არ არის საკმარისი არამც თუ მკვლელობის ჩადენის გასასამართლებლათ, არამედ მის გამოსარკვევათაც. ერთი მდგომარეობა არის კიდევ, რომელიც მე ერთბაშათ ვერ მოვიფიქრე, მაგრამ, რომელიც ეხლა აქ, ციხეში ჯდომის დროს ნათლათ, თვალსაჩინოთ წარმომიდგა, სწორეთ იმ დღეს, რა დღესაც გავიგე სიკვდილი იმ საბრალოსი.

— არა, მე არ მინდოდა იგი მომეკლა, ასეთ დანაშაულის შესაძლებლობაზედაც კი ერთხელაც არ მიფიქრია. მე აღშფოთებული ვიყავი, ვუცდიდი მხოლოდ ჩემს სიკვდილს და ამ გზით ჩემი ყოველდღიური ტანჯვების სამუდამოთ ბოლოს მოღებას. იმ დღესაც თავში აზრათ არ გამიტარებია ჩემი ცოლის მოკვლა, სანამ სწრაფათ არ გადავწყვიტე; ეხლავ გეტყვით სწორეთ, როგორ გამიელვა თავში ამ აზრმა, როგორი ელვის სისწრაფით გამიბრწყინდა და შემდეგ განუშორებლათ, რკინის სალტესავით შემიპყრო, მთელი არსებით, თითქოს ამ აზრით დავბადებულიყავი, თითქოს ეს აზრი თანდაყოლილი მქონოდეს.

დიახ, ამ უბედურ დღეს უფრო მეტათ დავიტანჯე ცოლისაგან, ვიდრე სხვა დროს. ხელ-ახლა შეურაცხყოფილი გამოვედი სახლიდან, აშლილი აღარ შემეძლო შემეკავებინა ცრემლთა ზღვა, რომელიც აწვებოდა ჩემს თვალებს. დავრჩები მარტო! გავიქცევი ქალაქიდან, გავექცევი ხალხს, სინამდვილეს, გავექცევი თვით ცხოვრებას — ეს იყო ჩემი ფიქრი და გავეშურე ქალაქის განაპირას, სადაც იწყება დიდი მინდვრები. ღამე ახლოვდებოდა. არაფერზე არ ვფიქრობდი, დავეხეტებოდი ყველასაგან მიტოვებული. მე მაშინ ვგავდი იმ ადამიანს, რომელიც რაღაც საკვირველებით გადარჩენია დიდ ცეცხლს, ან მოდიდებულ წყალს, ან კიდევ მაღაროებში აფეთქებას.

უეცრათ ჩემს წინ მატარებელმა გაიარა.

მხატვარმა ეს სიტყვები ისეთი ბოროტებით აღვსილი, ისეთი ყრუ იდუმალი ხმით წარმოსთქვა, რომ საქმის დამცველი შეჰკრთა, მას პირისახეზე ყინულისებრ ცივმა ნიავმა გადაუქროლა, ასეთი ნიავი გამოდის, როდესაც ჩვენ უცნობ ოთახის კარებს ვაღებთ. მას რაღაც იდუმალი სიცივე ატყვია.

საქმის დამცველმა ყურადღება გაათრკეცა. მკვლელმა განაგრძო:

— ხომ წარმოგიდგენიათ ბნელ ღამეში შავმა მოჩვენებამ საშინელის გრიალით და ველური სტვენით გაიარა. მე მარტო ერთ რამეს ვხედავდი: ეს იყო ნათელი ფარანი ლოკომოტივზე. სინათლე წითელი იყო, საშინელი, ახალ ჭრილობასავით, რგვალი, თითქოს სისხლი სწვეთავდა. ღამეც ჭრილობათ მეჩვენებოდა. ირგვლივ ყოველივე სისხლი იყო. დიახ, დიახ, სისხლი და ჭრილობა, დაკვებებული სისხლის ნაფლეთებით. შემდეგ გადმოსჩქეფა სისხლმა, ჭრილობა გაფართოვდა, თვალები დამიბნელა, დამწვა ხელები და თვალები, მთელი სხეული. ვეებერთელა იყო ჭრილობა! ღამე და ყველაფერი, რასაც ვხედავდი, თითქოს მიმკვდარებულიყო. ამ დროს გადავწყვიტე მომეკლა ცოლი. ვცანი, რომ ძალიან ბევრი ვიტანჯე მისი სასტიკი ხასიათისაგან და ვიტანჯებოდი უხმოთ უსიტყვოთ. ჩემს ახლოს მარტო ცოლსღა ვხედავდი, დანარჩენი კი გარშემო ყველაფერი წარიხოცა, გაჰქრა ღრმა ღრუბლებში, ვხედავდი მას ალისფერ სისხლის ლაქებში, ისეთ ალისფერ სისხლში, როგორც ლოკომოტივის ფარანი იყო. ფარნის ნათელმა სინათლემ გამიღვივა მკვლელობის ჩადენის აზრი, ნათლათ ვხედავდი ჭრილობას, ისე, როგორც მზინავ დისკას და ვხედავდი, როგორ ახლოვდება ფარნის წითელი სინათლე. ერთი წამის წინეთ დანაშაულობის ჩადენა შეუძლებელი იყო, შემდეგ აუცილებელი. შეუძლებელი გახდა არ ჩამედინა დანაშაული. დანარჩენი ახლა თქვენ იცით. მე უდანაშაულო ვარ, მხოლოდ უბრალო მსხვერპლი ვარ, საიდუმლო ძალის შეუგნებლობის და ჩემზედ მისი გავლენის გამოურკვევლობისა. არაფერს არ ვამზადებდი, არაფერს არ მოველოდი და არაფერი არ მსურდა. ბოროტება ჩამადენინა ჩემ წინ გავლილ მატარებლის წითელმა სინათლემ, ჩემ თვალებში წითელი ალისფერი ცეცხლი აინთო, აი ამან გააღვიძა ჩემში სისხლის წყურვილი.

ცოლი კი მაინც მიყვარდა და ეხლაც მიყვარს.

მხატვარმა ქვითინი დაიწყო. სიკვდილმა წარხოცა მისი სიმახინჯე, ეხლა ისევ ჩემ საყვარელ ცოლს ვხედავ, ვხედავ ისეთს, როგორიც იყო პირველ თვეებში, ვხედავ იმ ტანთსაცმელში, რომელსაც იმ დროს ატარებდა ვხედავ კეთილ, ერთგულ ადამიანს!

სახლში დაბრუნების დროს საქმის დამცველი ფიქრობდა, რომ საქმის დაცვის ასეთი სისტემა ძალიან რთული იქნებოდა უბრალო ბურჟუა-ნაფიც მსაჯულებისთვის.

საიდუმლო, ოდნავ მისახვედრი მოტივი დანაშაულობისა, ფარნის წითელი სინათლე და ჰიპნოზის უბედური გავლენა, ალისფერი სინათლე ირგვლივ, — ყველა ესენი, ცხადია, ვერ გამოდგებოდა გასასამართლებლათ უბრალო ბურჟუა-მსაჯულებთან.

უკეთესი იქნება ბრალდებული ისევ ჭკუა-შეშლილათ გამოვიყვანო გადაწყვიტა საქმის დამცველმა. განა შესაძლებელია დავუშვათ, რომ ფარნის დამბრმავებელი ბრჭყვიალა სინათლე, რომელიც ლოკომოტივიდან მოსჩანდა მხატვარს სისხლის ჭრილობათ მოეჩვენა და ღამეში მიმავალი მატარებლის ფარნისავე ცეცხლის შუქი სისხლად და ამის გამო მოჰკლა ცოლი? უფრო ნამდვილი იქნება მივაწეროთ დროებით ჭკუა-შეშლილობას და ეს ერთათ ერთი გზა უფრო შესაფერი იქნება, როგორც მსაჯულებისათვის, ისე ხალხისთვის.

საქმის დამცველმა გაიღიმა, და შეჩერდა. შემდეგ ხელები ფართოთ გააქნია, თითქოს მსაჯულების წინ სდგასო და ხმა მაღლა წარმოსთქვა:

დანარჩენი პოეტების საქმეა.

თ—და.

✦ **ახალი ეკლესია.** ექსარხოსის კანცელიარიაში ბლომათ გროვდება შემოწირულებანი მოკლული ექსარხოსის ნიკონის სახელზე რიყეზე ეკლესიის ასაგებათ.

✦ დღეს თფილისის სამხედრო საოლქო სასამართლოში ირჩევა დავით ვაშაკიძის საქმე, რომელსაც ბრალათ ედება დანაშაულის ჩადენა, აღნიშნული 102 მუხ. ახალი სისხლის სამართლის დებულებაში.

ბრალდებულს იცავს ნაფიცი ვექილის თანაშემწე ივ. კაჩუხოვი.

✦ **სხვადასხვა ამბები.** 14 ივლისს თფილისის ვაჭარს არშაკ სიმონიანცს ვიღაც უცნობმა 130 მანეთის სხვადასხვა ნივთები მოჰპარა. სიმონიანცმა ქურდობა შორაპნის მაზრის მცხოვრებ სერგო მესხიშვილს დააბრალა. მესხიშვილი პოლიციამ დაატუსაღა. —**15** ივლისს მნაცაკანოვის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო ნიკოლოზ ლედოვი, 8 წლისა. დამხრჩვალის გვამი ვერ იპოვნეს.

# ქუთაისი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

**თემობირი ერობის შესახებ.** 12 ივლისს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა კერძო კრება. კრებას დაესწრნენ ქალაქის თავის მიერ საგანგებოთ მოწვეული პირნი. თავმჯდომარემ, ქალაქის თავმა, დამსწრეთ განუმარტა წარსული კრების ანგარიში და წინადადება მისცა თავიანთი აზრი გამოეთქვათ ნამესტნიკის კანცელიარიის მიერ შემუშავებულ საერობო პროექტის პირველი მუხლის შესახებ. ამ პროექტში ნათქვამია, რომ კავკასიაში საჭიროა შემოღებულ იქნას სასოფლო, საბოქაულო, სამაზრო და საერთო, კავკასიის ერობებით. კრებაზე ამ მუხლის შესახებ სამი უმთავრესი აზრი გამოითქვა. ერთნი მომხრენი იყვნენ იმისი, რომ დაბალ საერობო ინსტანციათ მიღებულ იქნას წვრილი სასოფლო ერთეული (2,000 კომლი მცხოვრ.) ესენი მომხრენი იყვნენ ერობების ფართო დეცენტრალისტურ პრინციპზე აგების, ვინაიდან მათი აზრით, მხოლოდ ასეთი ერობა მისცემს ხალხის ფართო მასსას საშუალებას გამოიჩინოს თვითმოქმედება. ადგილობრივ პირობებთა სხვა და სხვაობაც ასეთ წვრილ საერობო ერთეულების შემოღებას მოითხოვს მათი აზრით.

მეორე ნაწილი კრებისა მომხრე იყო ისეთივე ტიპის ერობა მოეთხოვათ კავკასიისათვის, როგორიც რუსეთის შუაგულ გუბერნიებში არსებობს (სამაზრო და საგუბერნიო). ასეთი ტიპის ერობა მთავრობის მხრივაც არავითარ დაბრკოლებებს არ გამოიწვევს და მალეც განხორციელდებაო, დასძინდენ ესენი.

მესამე ნაწილმა გვერდი აუხვია ორივე უკიდურეს მიმართულებას და საშუალო მიმდინარეობა აირჩია მათ შორის. ამ უკანასკნელთა აზრით წვრილი სასოფლო ერთეული ვერ შესძლებს, მცირე შემოსავლის გამო, თავის დანიშნულების ასრულებას და უბრალო სათამაშოთ გადაიქცევა ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელში. მეორე მიმდინარეობის აზრსაც უარს უოფდენ ესენი იმ მოსაზრებით, რომ პროექტის შემუშავებაში მთავრობის შიშს ადგილი არ უნდა ქონდეს, ვინაიდგან თვითონ მთავრობა გვაძლევს საშუალებას და უფლებას თავისუფლათ გამოვსთქვათ ერობის შესახებ ჩვენი აზრი და თუ ამით ჩვენ არ ვისარგებლეთ—ეს ჩვენი თავის უარის უოფა იქნება და მაშინ უმჯობესია მთავრობას შევუთვალოთ: „რაც გნებავს ის გვიბოძე, ჩვენ ყველაფერზე თანახმა ვართო“. ამათი წინადადება იყო მოეთხოვათ საბოქაულო და საგუბერნიო ერობები. კრების უმრავლესობამ მიიღო ეს უკანასკნელი წინადადება.

კავკასიის საოლქო ერობის შესახებ კრება ორ ბანაკათ გაიყო: ერთმა ნაწილმა კავკ. საოლქო ერობის შემოღებაში ცენტრალისტური მიდრეკილება დაინახა და როგორც დეცენტრალიზაციის მომხრემ და უოველგვარ ცენტრალიზმის წინააღმდეგმა უარყო იგი. მეორე ნაწილი კი, გამოდიოდა რა იმ მოსაზრებიდან, რომ ადგილობრივ და საგუბერნიო კულტურულ მოთხოვნილებათა გარდა არის კიდევ მთელი რიგი ისეთ კულტურულ მოთხოვნილებათა, რომელნიც კავკასიის ყველა ერებს შეეხება და საერთო ძალღონით დაკმაყოფილებას მოითხოვს; გარდა ამისა, რომ უფრო მჭიდრო კავშირი იქნეს მეზობელ ერებს შორის და სოლიდარობა განმტკიცდეს—საჭიროთ სთვლიდა კავ. საოლქო ერობის შემოღებას. ამ უკანასკნელთა წინადადება იყო საბოქაულო და საგუბერნიო ერობების შემოღებაც.

სხვა და სხვა მიზეზების გამო კრებამ ამ კითხვის შესახებ საბოლოო აზრი ვერ გამოთქვა და დიდათ დაგვიანდა. დამის თერთმეტ საათზე კრება დაიხურა.

საზოგადოთ, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო მოვლენა. მიუხედავათ იმისა, რომ ერობის საკითხი ძალიან რთული და სერიოზული საკითხია და მისი სასურველ გადაწყვეტა დიდ შრომასა და კითხვის საფუძვლიანათ შესწავლას მოითხოვს,—დამსწრეთ სუსტი მომზადება ეტყობოდათ ამ კითხვის შესახებ, რასაც ცუდი შედეგების მოტანა შეუძლია ახალი სახალხო საქმისათვის, თუ ამ გარემოებას ამ თავითვე შესაფერი ყურადღება არ მიექცა და სათანადო ზომები არ იქნა მიღებული.

—**ნელი.**

# პროვინციის ქრონიკა

**ს. შუბანი.** (გურია) ჩვენ დროში ყოველგვარ კურიოზებს შეხვდება კაცი. აი მაგალითიც: ამას წინეთ ს. შუბანში დაესწარი ახალგაზდა ქალის თეკლე კონსტანტინეს-ასულის მდივნის დაკრძალვას. სახლიდან მიცვალებული გამოასვენეს მისმა ამხანაგმა-ქალებმა, რომლებმაც კუბო თავ-ზევით ასწიეს და ისე წაასვენეს; ამ დროს მოისმა თავშესაზარი ყვირილი და ლანძღვა-გინება: „ამას რას ხედავს ჩემი თვალები, ძირს დაუშვით კუბო, თქვენ ასეთებო, თქვენ ისეთებო, (აქ ისეთი სიტყვები ისმოდა, რომ იქ დამსწრენი ყურზე ხელს იფარებდენ) ამნაირი დასვენება ახალთაობის დროს იცოდენ, ღვთის მადლით, ის გაფრინდა..... ძირს დაუშვით კუბო თქვენ წუწკებო, პილწებო, „როსკიპებო“-ო და სხვა.

პირველათ გვეგონა, რომ პროცესიაში ვიღაც გიჟი შემოიჭრა. თურმე ნუ იტყვით, ის, ესე მდივნის მეუღლე—მართა ნიჟარაძის ასული ბრძანებულა.

როდესაც მისმა სიტყვებმა არ გასჭრეს, მაშინ ის მივარდა და კუბოს მუშტებით ცემა დაუწყო. შეშინებულებმა კუბო დაბლა დაუშვეს. მიუხედავათ ამისა გზა და გზა ქალბატონი მართა მაინც ილანძღებოდა. მივუახლოვდით საყდარს. აქ გამოვარდა მართას ქმარი—ესე მდივანი, რევოლვერზე ხელი დაივლო და არა ნაკლებ თავის მეუღლისა დაიწყო ლანძღვა!

„ვერ ხედავთ რომ გაგიფრინდათ ახალი თაობა? როგორ ბედავთ ამას. მე თქვენ გაგაციმბირებთ. სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგია, ასე თავს არ აგაშობიებ მე თქვენ“-ო.

შემდეგ დაუძახა მიცვალებულის გასასვენებლათ; რამდენიმე მანძილზე კუბო მიწაზე გაათრიეს.

საზოგადოება საშინლათ აღელდა. ატყდა ჩოჩქოლი; მოისმა ხმები: „დღეის ამიერიდან მდივნისას ფეხს აღარ დავადგამთ, ველურობაა“-ო.

ასეთი მაგალითი პირველი არ არის. შარშან ადმინისტრაციის ნებართვით მოხდა ჯვარცხმის და ერკეთის საზოგადოებების შეერთებული კრება ქურდების გამოძებნის შესახებ. როდესაც თავმჯდომარის არჩევას შეუდგენ, ქალბატონი მართა მდივნისა მეტის მეტათ აღელდა და კრებას უშვერის სიტყვებით დაუწყო გინება: „ვერ გაიგეთ თქვენ, რომ ახლთაობა მოკვდა, რომ ის დასამარებულია და სხვ?...

—

**დ. ახალსენაკი.** ამ ერთი თვის წინათ აქ მოვიდა გურია-სამეგრელოს ეფისკოპოზი ლეონიდე ეკლესიების დასათვალიერებლათ. სადაც კარგათ გაწყობილი არ იყო ეკლესია ყველა დაკეტა. ეხლა, ამ მუშაობის დროს, მართავენ, კრებებს იმის გამოსაკვლევათ, თუ რამდენი დაუჯდებათ თითო ეკლესიის მორთვა. მათი ანგარიშით ეს დაჯდება უკანასკნელი **1000—1500** მანათი. საიდან იშოვნონ გლეხებმა ეს ამოდენა ფული ამას აღარავინ ჩივის.

წელიწადზე მეტია, რაც სენაკ-ზუგდიდ შუა ავტომობილების მოძრაობა გაჩაღდა, მაგრამ ჩვენი მედილიჟნები იმდენს ეცადენ, რომ აიძულეს ავტომობილის პატრონი გვათუა თავი დაენებია ამ საქმისთვის. გაიგო თუ არა ეს პრინცეს მიურატმა, ხელათ გამართა მიწერ-მოწერა „საფრანგეთის ამხანაგობასთან“ და ავტომობილების მოძრაობა ისევ დაიწყო, მაგრამ აქაც იმდენი ეცადენ ჩვენი ჩარჩები, რომ თავისი გაიტანეს.

**ქუთაისი.** უბედური შემთხვევა ფერმის ქუჩაზე სახლის შენების დროს მესამე სართულიდან გადმოვარდა ორი მუშა. ერთი მათგანი სასიკვდილოთ დაშავდა, მეორე უფრო სუბუქათ. როგორც გამოირკვა, ხარაჩოები ყოფილა ცუდათ მოწყობილი. საჭიროა სახლის პატრონმა ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება მიაქციოს.

**კოლხიდის საზოგადოება.** კოლხიდის საზოგადოებამ უკვე შესწყვიტა პარკის მიღება. საზოგადოებას წელს უყიდია 700 ფუთი პარკი 10,000 მ. ღირებული.

**გაზეთის გამოცემის შეჩერება.** ყოველ-დღიურ გაზეთის „ვარსკვლავის“ გამოცემა რამოდენიმე დღით შეჩერებულ იქნა. მიზეზი უსალსრობაა. რედაქციას მიზნათ აქვს მომავლისათვის გაზეთი კვირაში ორჯერ გამოუშვას: ხუთშაბათს და კვირას.

# კორესპონდენციები

—

**ყარსი.** ტყუილათ კი არ უთქვამს თამარ-მეფეს როცა აქ გამოუვლია „ყარსო“ სწორეთ რომ ზედ გამოჭრილია ეს სახელი. დაწყებული სადგურიდან ვიდრე ყარსის ძველ ციხემდი, ერთი ვერსის მანძილზე სწორი ჩაგუბული მინდორია, რომელშიაც ნიაღვრის და წვიმის წყალი დგება და არსად გასავალი არ აქვს, რომელიც რა თქმა უნდა, არა სასიამოვნო სუნს აყენებს. მცხოვრებთ ამ ჭაობის გასაშრობათ მოუგროვებიათ თავიანთ შორის რამდენიმე ათასი მან. და მიუცია ერთ ვიღაც მოიჯარადრისთვის, რომელსაც არხი უნდა გაეყვანა მდინარე ახურიანამდე. მოიჯარადრეს მოუწამლავს თავის თავი და ის ფული კი თავის ცოლშვილისთვის დაუტოვებია. ჭაობი კი ისევ ისე უპატრონოთ არის მიტოვებული. კიდევ კარგი, რომ დილა საღამოობით საკმაოთ გრილა, ზამთარიც ხანგრძლივი და მეტათ ცივი იცის, თორემ შენი მტერი... თან აქ სახლის პატრონებს უმეტესობას მეეზოვები არა ყავთ რის გამო ყველა ეზოში საზარელი სუნი სდგას არც არავინ ყურადღებას არ აქცევს. შედარებით კავკასიის ქალაქებთან ყარსში მყუდროებაა. გასულ თვეში, სამი სახალხო სეირნობა გაიმართა საქველმოქმედო მიზნით. ხალხი სამივე სეირნობას ბლომათ დაესწრო. ბაღი, რომელიც ახურიანის პირას არის გაშენებული საუცხოვოთ იყო მორთული. წესიერება საუცხოვო იყო მხოლოთ მეორე სეირნობის დროს ვიღაც ბოროტმოქმედებმა ბაღის ბუფეტის პატრონს როცა ეს უკანასკნელი ალაგებას აპირობდა ღამის ორ საათზე გამოსტაცეს ხელიდან ფულის ქისა და მიიმალენ. მიიღეს საჭირო ზომები, ყველა ბოლოს კარები დაკეტეს და მოსეირნეთ სათითაოთ სჩხრეკდენ, მაგრამ ამაოთ, ქურდები ვერ აღმოაჩინეს.

აქაურ “ხაზეინების“ აღვირ-წახსნილობას საზღვარი არ აქვს, და როგორც მოესურვებათ ისე იქცევიან მუშებთან.

**ერ. შუბ—ლი.**

—

**ს. მიქელ-გაბრიელი** (გურია). აგერ თვეზე მეტია, რაც ჩვენში საშინელი გვალვაა. მიუხედავათ ამისა წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს. ასეთმა სიცხეებმა დაუპატიჟებელი სტუმარი—„ციებაც“ მოგვიყვანა. ისეთი კუთხე არაა ჩვენში, რომ სამი თხი ავათმყოფი ციებ-ცხელებით შეპყრობილი არ იყოს. აქა-იქ მუცელაც მძვინვარებს, მაგრამ ვინ არის კაცი, რომ დარიგება მისცეს ხალხს. ექიმი, ვგონებ, წელიწადში ორჯერაც არ გაივლის ისიც თუ ვინმე შეძლებული პირი შეურიგდა ექიმს ფასსზე ოზურგეთში, თორემ აბა, დაბალი ხალხი რომ ვერ შეიძლებს ექიმისთვის „გასამრჯელოს“ მანეთს, ამაში ყველანი დარწმუნებულია. საზოგადოებას აქ ჰყავს ერთად ერთი ფერშალი ბ ნი ი. თიკანაძე, რომელიც თითქმის ჩვენში ფერშლობს, მაგრამ მისი რეზიდენცია უფრო ქ. ბათომია. მარა ვინ არის პასუხის გამცემი? საზოგადოება ხომ კიბოსავით უკან უკან მიდის. მას დღეს აღარ აქვს თავი, ფერშალზე და კულტურულ საქმეებზე მოილაპარაკოს. თუმცა საზოგადოების ნაწილი მუდამ დღე ამაზე ლაპარაკობს, მაგრამ ხსენებული ჩვენი რაინდი ყურესაც არ იბერტყავს. ამას თავი დავანებოთ, ასეთი შემთხვევაც იყო: ავათმყოფი გაასინჯვეს, გასინჯვის და წამლის ფული ჩაუთვალეს, მარა წამალი სრულებით არ მიუცია ავათმყოფისათვის. ასე აბუჩადაა აგდებული ჩვენი სოფელი, მაგრამ ხომ გაგონიათ ქართული ანდაზა: „სოფელი ვნახე უძღლო, შიგ გავიარე უჯოხოთ“.

— ათასგვარ გადასახადებზე ამ ბოლო დროს დრამაც დაუმატეს გლეხ-კაცობას. ორ-ორი მანეთი უკვე მოკრიბეს და თავისს დანიშნულებისამებრ მღვდლებს გადასცეს. ხალხი ძალიან შეწუხებულია. არ იცის რა წყალს მისცეს თავი. ამას წინეთ პრესის საშვალებით გამოცხადებული იყო, რომ სამხედრო წესები მოხსნათ. საწყალი ხალხი ფიქრობდა ჟამაგირიან მამასახლისს მაინც მოგვიხსნიან და ცოტა უფრო თავისუფლათ ამოვისუნთქავთო, მაგრამ, არა, ჟურჟურობით ამის შესახებ ბაიბური არ ისმის. პირიქით, სამი თვის ჯამაგირი მამასახლისისის და დარაჯების გააწერეს და კიდეც აიღეს. ამას ზედ დაუმატეს ფოშტის ფულები და ისედაც გაძვალტყავებული ხალხი მთლად სასოწარკვეთილებას მიეცა, იგი დაეცა როგორც ნივთიერად ისე სულიერად და დამის სული დალიოს ზედმეტი გადასახადების გამო.

**სოფლის მეთვალყურე.**

## წერილი რედაქციის მიმართ

**პასუხათ სიდერიდისის ქარხნის 27 მუშას.**

„ჩვენი აზრის“ 48 №-ში მოთავსებულია ბათომიდან წერილი, ხელ მოწერილი სიდერიდისის ქარხნის 27 მუშის მიერ. წერილი იწერება ვითომდა ფაქტიური შესწორების შესატანათ ჩვენს წერილში, მოთავსებულში ამა გაზეთის 36 №-ში, ნამდვილათ კი შეიცავს მთელ საბრალმდებლო ოქმს.

ჩვენ როდესაც ხსენებულ წერილს ვწერდით მიზნათ, არ გვქონებია ვისმესი შეურაცყოფა. ჩვენ ვცდილობდით მხოლოდ, შეძლების დაგვარათ, რასაკვირველია, აგვეხსნა ჩვენს ჩამორჩენილ ძმებისათვის, მუშებისათვის, რომ ხშირათ მუშები, თავის შეგნებული საქციელით ხელს უწყობენ ხაზეინებს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ ვწერდით, რომ ხაზეინებმა ისარგებლეს ერთის მხრით გამძვინვარებული უმუშევრობით და მეორეს მხრივ უმუშევრების უგმაყოფილებით ქარხნის მუდმივ მომუშავეებზე და შეეცადენ უმუშევრების დახმარებით მუდმივ მუშების დამარცხებას; მიზანს მიაღწიეს კიდეც. ამის უტყუარი მაგალითი იყო, როგორც უკვე ვწერდით, 24 უმუშევრის დროებით მიღება დაკლებულ ხელფასში და გაუარესებულ სამუშაო პირობებში. დიდმა უმრავლესობამ ამ 24 უმუშევარისამ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, კარგათ იცოდა, თუ რასაც ჩადიოდა, როდესაც ხაზეინს ასეთ გაუარესებულ პირობებში მუშაობას პირდებოდა, მარა რა ექნა? ერთის მხრით სხვა და სხვა მიზეზები, მეორეს მხრით შიში—ვაი თუ კვლავინდებურათ მუდმივ მომუშავეებმა შეუსრულოს ხაზეინს ეს ზედმეტი სამუშაოო; აიძულებდათ მათ დათანხმებულიყვნენ. ამ უკანასკნელ აზრში თქვენმა საქციელმა დაარწმუნა ისინი: მოუმატა სამუშაოს—„აკორდზე“, მომუშავეებმა კაცი არ მიიმატეს, წავიდა დროებით ვინმე სადმე-მისი სამუშაო თვით გაინაწილეს, ზოგიერთმა მუშამ სულ დატოვა მუშაობა, ადგა და სამუშაო ადგილი, როგორც კერძო საკუთრება, გაჰყიდა, დღიურ ხელფასზე მომუშავეებმა კი შარშან მთელი ათი თვის განმავლობაში აკეთეს „ნეტვერები“, რომელზედაც მუდმივებს რომ არ ემუშავნათ, ხაზეინი იძულებული იქნებოდა მოეწვია უმუშევრები. ყველა ამან აიძულა უმუშევრები ხმა ამოუღებლივ დათანხმებულიყვნენ. ეს იყო, როგორც უკვე ვსწერდით, ხაზეინის პირველი ნაბიჯი, რომელსაც, ჩვენის აზრით, უნდა მოყოლოდა, მეორე, მესამე და ასე ბოლომდე. წინასწარმეტყველება ჩვენი, თქვენც დაგვეთანხმებით, გამართლდა და ყველა ჩვენგანი მოწმეა იმის, თუ რა დიდი დამარცხება იყო 24 უმუშევარის მიღება.

ამას შეგნება უნდა უნდა და არა შეურაცხყოფათ მიღება.

რაც შეეხება ფაქტიურ შესწორებას „სტანოკების“ შესახებ, დიდის სიამოვნებით ვღებულობთ, მარა ერთხელ კიდე ამტკიცებს ჩვენს სიმართლეს. ერთი თქვენგანი გაზეთ „ბატუმსკაია ნოვოსტ“-ში აცხადებდა, „სტანოკები“ ყველა მუშაობსო; თქვენ სწერთ, „ზაპასნოია“-ო. რომელს დაუჯეროთ? დაუშვათ, რომ „ზაპასნოია“, მერე და რას ქვია სიტყვა „ზაპასნოი“? ჩვენის აზრით იმას, რომ როდესაც რომელიმე მომუშავე „სტანოკი“ გატყდება, ან მოემატება სამუშაოს, ეს „სტანოკები“ ამუშავდება. მერე, როდესაც ნორმა 14,000 ფუთი ავიდა 18,000-ზე და მეტზედაც ამუშავდა „სტანოკები“? ჩვენ გაცხადებთ, რომ არა, და ძაღლის თავიც აქ მარხია.

მუშათა ერთი ჯგუფის ახლო მდგომარე პირებმა ყოველი ღონე იღონეს, რომ თქვენ ან ქარხანაში მოგეყარათ თავი, ან აგერჩიათ ქარხნიდანვე არა დაინტერესებული პირები წერილის გასარჩევათ, მარა თქვენ მაინც თქვენსას სჩადიოდით: იყრიდით ფრესებზე მომუშავე ცალ-ცალკე და ფარულად—არჩევდით თქვენი წერილისათვის დაინტერესებულ პირებს. სად გაგონილა თავისი თავის გასამართლება?!

ადგილების გაყიდვის შესახებ კი უნდა მოგახსენოთ შემდეგი: დიდი უმრავლესობა მუშების ადგილების გაყიდვის მომხრეა დღესაც და თუ ვერ ყიდის ეს იმიტომ, რომ მუშების გაგდება და მიღება დღეს ხაზეინის ხელშია, ამდენი ხანი კი პირველათ ყველა მუშების ხელში იყო, დროთა ვითარების შემდეგ კი ზოგიერთებმა კერძო საკუთრებათ გამოაცხადეს და ყიდდენ კიდეც. ამის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო და არა უარის ყოფა.

უკანასკნელათ მივაქცევთ თქვენს ყურადღებას იმას, რომ ქარხანაში 27 მუშა კი არ არის, არამედ მეტი და თუ ამ ჩვენ უკანასკნელ წერილზედაც არ დაგვეთანხმებით იმ შემთხვევაში გაგვიწვიეთ სამედიატორო სამართალში, რომელიც შემდგარი იქნება არა დაინტერესებულ პირებისაგან. სასურველია, რომ სასამართლოს წევრებათ იქნენ მოწვეული სხვა ქარხნის მუშები.

**მუშათა ერთი ჯგუფი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ ამ მოკლე განცხადებას:

გავიგე, რომ ლ. მ—ძე და ვალია შეთანხმებულან მათ შორის მომხდარი ინციდენტი სამედიატორო სასამართლოს საშუალებით გამოარკვიონ და ერთს მათგანს, (ლ. მგ—ძეს) მედიატორეთ თავის მხრივ მე დავუსახელებივარ. თუმცა ამ ინციდენტის გამორკვევისთვის ხელის შეწყობა ჩემ პირდაპირ მოვალეობას უნდა შეადგენდეს, მაგრამ მე უარს ვამბობ მედიატორობაზედ მხოლოდ დროს უქონლობის გამო, და ვწუხვარ, რომ შემთხვევით პასუხი დამიგვიანდა, რადგანაც შესაძლებელია ჩემ დაგვიანებულ უარს საქმის შეჩერება მოჰყვეს.

**ლ. კილურაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. დადიშკელიანი.**

## მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში 1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77ა, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).


## განცხადებანი

**დაჯილდოვებულია**

დიდი **ვერცხ.** და **ოქროს** მედ. მეტათ კარგი ღირსებისათვის

**ნატრო-ლითიევოი წყალი**

ზემმედის ძველი ზავოდის

თფილისი, ველიკოკნიაჟ. 40, ტელეფონი 216. იაუკეთესო საშუალება კუჭის კატარის და ქვის, თირკმლების, ღვიძლის და შარდის ბუშტის ავათმყოფობის წინააღმდეგ, აქრობს სიმჟავეს, ადნობს და სწმენდავს ქვას და ქვიშას.

ფასი სამკურ. წყ. ბოთ. 18 კ. იქვე ობერზალცბრუნ., გუნიადი-იანოს, ემსკის და აგრეთვე სელტერსკი, სოდის და ყველა ხილეულობის წყლები.

!!! გ ა ფ რ თ ხ ი ლ დ ე ბ ა !!!

ჩვენ მოგვარეთა და ყალბი იარლიკების გასარჩევათ ვთხოვთ მოითხოვონ წარწერა ყველა იარლიკზე. დიდი „ვერცხ. და ოქროს“ მედლები და ზავ. მარკა გემი „ოსკარი“. (20—10)

**სპერმატინის და ალმეზას**

**საწყობი** გადატანილია ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, **ნეკრასოვის ქ. № 14.** 30—18